


ზოგადი ინფორმაცია 2021 წელს საქართველოს
ეკონომიკური მდგომარეობის და
ბიუჯეტის შესრულების შესახებ



www.mof.ge


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თბილისი, 2022 წელი

ეკონომიკური ზრდა

2021 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 10.4% შეადგინა. 2021 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 60 231.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც 22.7%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 16 154.1 ლარია (5 015.3 აშშ დოლარი).

მშპ-ს რეალური ზრდა, 2021




2021 წლის მონაცემებით ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- ხელოვნება, გართობა და დასვენება (43.1%)
- წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები (38.9%)
- ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება (33.5%)
- განთავსების საშუალებებით

უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებში (29.8%);


- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (28.7%);
- ტრანსპორტი და დასაწყობება (27.6%);
- ინფორმაცია და კომუნიკაცია (23.9%);
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (23.5%).



კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- მშენებლობა (21.8%)
- განათლება (2.3%)
- სოფლის მეურნეობა (1.4%)

ეკონომიკური საქმიანობის სახეების წილი ნომინალურ მშპ-ში



2021 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი კვლავ კერძო სექტორს ეჭირა. 2021 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 35.2%-ით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 25.8 %-ით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ 12.6 ათასი ადამიანით, ხოლო მხოლოდ ბოლო კვარტალში 51.8 ათასი ადამიანით გაიზარდა (აღნიშნული მონაცემები მოცემულია საქსტატის, ბიზნეს სექტორის 2020-2021 წლების კვარტალური კვლევების მიხედვით).

ინფლაცია

2021 წლის ბოლოს წინა წელთან შედარებით ინფლაციის დონე 13.9 %-ით განისაზღვრა. ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 9.6 %-ის დონეზეა.


ლარის გაცვლითი კურსი

2021 წელს ლარი გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.5 %-ით გამყარდა და 3.1 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 17.9 %-ით.

საგარეო სექტორი

2021 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 14 326.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 25.7 %-ით მეტია; აქედან ექსპორტი 4 242.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (26.9 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი 10 084.4 მლნ აშშ დოლარს (25.2 %-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2021 წელს 5 842.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მთლიანი ექსპორტი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით (2021 წელი)




2021 წელს მთლიან საქონელბრუნვაში ევროკავშირის წილი 21.1 %-ს (3 028.7 მლნ აშშ დოლარი) შეადგენს. თურქეთის - 15.0 %-ს (2 145.9 მლნ აშშ დოლარი), რუსეთის - 11.4 %-ს (1 638.6 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთის - 10.3 %-ს (1 480.5 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანის - 7.9 %-ს (1 136.1 მლნ აშშ დოლარი).

მთლიან ექსპორტში ევროკავშირის წილი 16.9 %-ს (717.1 მლნ აშშ დოლარი) შეადგენს. ჩინეთის - 14.5 %-ს (615.6 მლნ აშშ დოლარი), რუსეთის - 14.4 %-ს (610.0 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანის - 12.5 %-ს (531.0 მლნ აშშ დოლარი), თურქეთის - 7.6 %-ს (322.2 მლნ აშშ დოლარი).

დოლარი), უკრაინის - 7.2 %-ს (307.3 მლნ აშშ დოლარი).


სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 19.2 %-ით (815.4 მლნ აშშ დოლარი), მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 11.3 % (477.4 მლნ აშშ დოლარი), მსუბუქი ავტომობილები 10.8 % (456.6 მლნ აშშ

მთლიანი ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (2021 წელი)



დოლარი), ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.6 % (239.3 მლნ აშშ დოლარი) და სპირტიანი სასმელები 3.7 % (155.7 მლნ აშშ დოლარი).


მთლიანი იმპორტი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით (2021 წელი)



მთლიან იმპორტში ევროკავშირის წილი 22.9 % (2 311.6 მლნ აშშ დოლარი). თურქეთის - 18.1 % (1 826.3 მლნ აშშ დოლარი), რუსეთის - 10.1 % (1 022.5 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთის - 8.6 % (864.9 მლნ აშშ დოლარი), აშშ - 6.2 % (636.0 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანის - 6.0 % (598.4 მლნ აშშ დოლარი).

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 9.1 პროცენტთან (918.0 მლნ აშშ დოლარი) წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 8.2 პროცენტი (822.6 მლნ აშშ დოლარი), სპილენძის მადნები და კონცენტრატები 7.3 პროცენტი (736.1 მლნ აშშ დოლარი), სამკურნალო საშუალებები 3.8 პროცენტი (382.2 მლნ აშშ დოლარი) და ნავთობის

მთლიანი იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (2021 წელი)



აირები 3.4 პროცენტი (342.3 მლნ აშშ დოლარი).

ტურიზმი

2021 წელს საქართველოს 1 881.3 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია (2020 წლის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 1 747.1 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 7.7%-ით მეტია (წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

2021 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 244.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 129.8 %-ით მეტია (703.2 მლნ აშშ დოლარით მეტი) გასული წლის მაჩვენებელზე, ხოლო 2019 წელთან შედარებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 61.9 %-ითაა შემცირებული (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

ფულადი გზავნილები

2021 წელს წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.0 %-ით გაიზარდა და 2 032.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (393.6 მლნ აშშ დოლარით მეტი).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2021 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 101.6 %-ით გაიზარდა და 1 152.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტის (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები) მაჩვენებლის გაზრდით. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს გაერთიანებული სამეფო (596.6 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდები (125.9 მლნ აშშ დოლარი) და ჩეხეთი (81.8 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენს.

ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები საფინანსო სექტორში (443.3 მლნ აშშ დოლარი), გართობა, დასვენება და სხვა სახის მომსახურებაში (230.5 მლნ აშშ დოლარი) და ენერჯეტიკაში (157.0 მლნ აშშ დოლარი) განხორციელდა.

ნაერთი ბიუჯეტი

2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14 928 250.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 15 142 672.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.4%.

- ✓ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13 271 250.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 13 379 960.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.8%.
- ✓ **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 457 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 494 447.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.2%.
- ✓ **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 200 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 268 265.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.7%.

2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

	გეგმა	ფაქტი	+/-	ათასი ლარი %
შემოსავლები	14,928,250.0	15,142,672.8	214,422.8	101.4
გადასახადები	13,271,250.0	13,379,960.6	108,710.6	100.8
საშემოსავლო გადასახადი	3,771,000.0	3,775,673.8	4,673.8	100.1
მოგების გადასახადი	1,001,000.0	1,015,296.1	14,296.1	101.4
დამატებული ღირებულების გადასახადი	5,935,000.0	6,029,547.0	94,547.0	101.6
აქციზი	1,825,000.0	1,868,783.7	43,783.7	102.4
იმპორტის გადასახადი	81,250.0	86,361.9	5,111.9	106.3

<i>ქონების გადასახადი</i>	510,000.0	510,704.3	704.3	100.1
<i>სხვა გადასახადი</i>	148,000.0	93,593.7	-54,406.3	63.2
გრანტები	457,000.0	494,447.1	37,447.1	108.2
სხვა შემოსავლები	1,200,000.0	1,268,265.1	68,265.1	105.7

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 421 667.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (480 000.0 ათასი ლარი) 87.8%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 142 197.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (210 000.0 ათასი ლარი) 67.7%-ია.

ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი

2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა (-3 769.7) მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის - 6.26 %-ია.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულმა სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზირებულმა მაჩვენებელმა 6.7% შეადგინა (ორგანული კანონის თანახმად განსაზღვრული ლიმიტი მშპ-ის 3%¹). 2021 წლის შესრულების მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი შეადგენს (-3 708.3) მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის - 6.16%-ია. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში მოდიფიცირებული დეფიციტი (Augmented) მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განისაზღვრა 6.05%-ით.

სახელმწიფო ვალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 31 215.6 მლნ ლარი, მათ შორის: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 5 798.8 მლნ ლარს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 25 416.9 მლნ ლარს. სახელმწიფო ვალის მოცულობამ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგინა 51.8%. ამასთან, დამატებით ინფორმაცია წააარმოდგენილია ვალის შესახებ ინფორმაციაში.

ფისკალური წესები

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრულ პარამეტრებთან 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობა

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- 2021 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებისას დაიგეგმა, ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვარს მიღმა - 6.7%-ის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა (-3 708.3) მლნ ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 6.16 %-ია.
- საქართველოს მთავრობის ვალმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 49.5%.² ამასთან, ვინაიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) განისაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის 0.7%-ით, ჯამურად ეს ვალდებულებები მშპ-ის 50.2%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

¹ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2018 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების თანახმად დაზუსტდა ფისკალურ წესებთან დაკავშირებული მთელი რიგი დებულებები. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი განმარტებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და მოიცავს როგორც ნაერთი ბიუჯეტის, ასევე სსიპები/აიპების მიერ კანონმდებლობით ნებდართული შემოსავლების (ე.წ. საკუთარი შემოსავლების) ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებსაც.

² არ მოიცავს „ე. წ. „ისტორიული ვალის“ მოცულობას, ვინაიდან აღნიშნულ მაჩვენებელზე არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია. ამასთან, მთავრობის ვალის მოცულობაში გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სესხის სახით აღებული ვალი, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მაკროეკონომიკური დაშვებების შედარება

	2021 წლის	2021 წლის ბიუჯეტის	2021 წლის	2021 წლის
	ბიუჯეტის კანონი (თავდაპირველი)	კანონი (პირველი ცვლილება)	ბიუჯეტის კანონი (მეორე ცვლილება)	წლის ფაქტი
რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	4.3%	7.7%	10.0%	10.4%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	53,443	57,201	58,529	60 231.6
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (USD)	4,353	4,750	4,883	5 015.3
მშპ დეფლატორი, %-ული ცვლილება	3.8%	7.5%	8.0%	10.8%

2021 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი 10.4%-ის დონეზე დაფიქსირდა. აღნიშნული ზრდა აღემატება პროგნოზს 0.4 პროცენტული პუნქტით. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის რეალური ზრდა თავდაპირველად პროგნოზირებული იყო 4.3%, თუმცა, გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის გამო, აღნიშნული პროგნოზი გაიზარდა ჯერ 7.7%-მდე, ხოლო შემდგომ 10.0%-მდე. მიუხედავად პანდემიის ახალი შტამის გავრცელებისა, მესამე და მეოთხე კვარტალში ეკონომიკური აქტივობა კვლავ მაღალი იყო, საბოლოოდ კი ეკონომიკური ზრდა წინა წელთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა. საერთო ჯამში, 2021 წელს რეალური ეკონომიკა 10.4 პროცენტით გაიზარდა. ნომინალური მშპ 60 231.6 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა და 2.9%-ით აღემატება პროგნოზირებულ მაჩვენებელს (58 529 მლნ ლარი).

ფისკალური პროგნოზების და ფაქტების ურთიერთშედარება (ნაერთი ბიუჯეტი)

	2021 წლის I კანონი	2021 წლის ბოლო კანონი	2021 წლის ფაქტი	შესრულების %	ბოლო დამტკიცებულ გეგმას- პირველი დამტკიცებული გეგმა	მლნ ლარი	
						ფაქტს-ბოლო დამტკიცებული გეგმა	ფაქტს-პირველი დამტკიცებული გეგმა
შემოსავლები	13,402.0	14,928.0	15,142.7	101.4%	1,526.0	214.7	1,740.7
მ.შ გადასახადები	12,045.0	13,271.0	13,380.0	100.8%	1,226.0	109.0	1,335.0
ხარჯები	13,407.0	14,688.0	14,742.4	100.4%	1,281.0	54.4	1,335.4
საოპერაციო სალდო	-5.0	240.0	400.3	166.8%	245.0	160.3	405.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,986.0	4,208.0	4,170.0	99.1%	222.0	-38.0	184.0
ზრდა	4,236.0	4,688.0	4,591.6	97.9%	452.0	-96.4	355.6
კლება	250.0	480.0	421.7	87.8%	230.0	-58.3	171.7
მთლიანი სალდო	-3,991.0	-3,968.0	-3,769.7	95.0%	23.0	198.3	221.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	91.0	-55.0	42.1	-76.5%	-146.0	97.1	-48.9
ზრდა	241.0	155.0	184.3	118.9%	-86.0	29.3	-56.7
კლება	150.0	210.0	142.2	67.7%	60.0	-67.8	-7.8

ვალდებულების ცვლილება	2,440.0	2,236.0	2,500.7	111.8%	-204.0	264.7	60.7
ზრდა	5,249.0	4,955.0	5,251.5	106.0%	-294.0	296.5	2.5
კლება	2,809.0	2,719.0	2,750.9	101.2%	-90.0	31.9	-58.1
ნაშთის ცვლილება	-1,642.0	-1,677.0	-1,311.1	78.2%	-35.0	365.9	330.9
მშპ (ნომინალი) მლნ ლარი	53,442.60	58,528.90	60,231.60				
დეფიციტი	-7.47%	-6.78%	-6.26%				
შემოსულობები	19,051.00	20,573.00	20,958.07				
გადასახდელები	20,693.00	22,250.00	22,269.14				
მოდულირებული დეფიციტი (IMF)	-4,082.00	-3,913.00	-3,641.84				
მოდულირებული დეფიციტი (IMF) % მშპ-სთან	-7.64%	-6.69%	-6.05%				

მოდულირებული დეფიციტის (Augmented) გამოთვლის წესი გაწერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში (დოკუმენტი საჯაროა). GFSM 2001 კლასიფიკაციით გათვალისწინებული დეფიციტისაგან მოდულირებული დეფიციტი განსხვავდება იმით, რომ ფინანსური აქტივებით ოპერაციებიც ტარდება „ხაზს ზემოთ“ და მონაწილეობას იღებს დეფიციტის ფორმირებაში.

GFSM 2001 საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხმად, 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3 769.7 მლნ (6.26%) ლარს შეადგენს. ფინანსური აქტივების ოპერაციების (42.1 მლნ) და დაბრუნების ქვეანგარიშის (169.9 მლნ) გავლენის ასახვის შედეგად მოდულირებული დეფიციტი შეადგენს 3 641.8 მლნ ლარს (მშპ-ის 6.05%).

დაგეგმილთან შედარებით გაზრდილი ეკონომიკური ზრდისა და გადასახადების ფაქტიური მობილიზების გათვალისწინებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმიური მაჩვენებელი გაიზარდა 1 226.0 მლნ ლარით და განახლებულმა პროგნოზმა 13 271.0 მლნ ლარი შეადგინა.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების თავდაპირველი პროგნოზი შეადგენდა 13 402.0 მლნ ლარს. მათ შორის გადასახადები 12 045.0 მლნ ლარი, გრანტები 357.0 მლნ ლარი და სხვა შემოსავლები 1 000.0 მლნ ლარი. საბიუჯეტო შემოსავლების თავდაპირველი პროგნოზის გაანგარიშებები ეფუძნებოდა ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თავდაპირველ პროგნოზებს და გადასახადების ადმინისტრირების მოსალოდნელ გაუმჯობესებას. 2021 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილებებისას მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების გათვალისწინებით მოხდა შემოსავლების კორექტირებაც, რომელიც განისაზღვრა 14 928.0 მლნ ლარით, მათ შორის გადასახადები 13 271.0 მლნ ლარი, გრანტები 457.0 მლნ ლარი და სხვა შემოსავლები 1 200.0 მლნ ლარი. შემოსავლების კორექტირებისას მაკროეკონომიკური ინდიკატორების გარდა, გათვალისწინებული იყო შემოსავლების მობილიზების მიმდინარე ტენდენციები და სხვა ფაქტორები (მათ შორის ადმინისტრირების გაუმჯობესება).

2021 წლის ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 15 142.7 მლნ ლარი, ხოლო გადასახადების 13 380.0 მლნ ლარი, რაც თავდაპირველ პროგნოზთან მიმართებაში შესაბამისად 113.0 და 111.1 პროცენტს შეადგენს.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2021 წელს გადასახდელებისათვის დაბრუნებულმა საგადასახადო ზედმეტობამ 1 930.1 მლნ ლარი შეადგინა (ანალოგიური მაჩვენებელი 2020 წელს 1 040.1 მლნ ლარს შეადგენდა).

2021 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის შესრულება

	2021 წლის I კანონი	2021 წლის ბოლო კანონი	2021 წლის ფაქტი	მლნ ლარი შესრულების %
შემოსავლები	14,477.9	16,090.0	16,276.8	101.2%
<i>მ.შ გადასახადები</i>	12,045.0	13,271.0	13,380.0	100.8%
ხარჯები	14,476.8	15,605.0	15,653.5	100.3%
საოპერაციო სალდო	1.1	485.0	623.3	128.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,133.0	4,413.0	4,331.7	98.2%
<i>ზრდა</i>	4,386.9	4,893.0	4,753.4	97.1%
<i>კლება</i>	253.9	480.0	421.8	87.9%
მთლიანი სალდო	-4,131.9	-3,928.0	-3,708.3	94.4%
ფინანსური აქტივების ცვლილება	96.9	-48.0	43.5	-90.7%
<i>ზრდა</i>	246.9	167.0	194.3	116.3%
<i>კლება</i>	150.0	215.0	150.7	70.1%
ვალდებულების ცვლილება	2,467.7	2,252.0	2,520.0	111.9%
<i>ზრდა</i>	5,276.4	4,971.0	5,272.5	106.1%
<i>კლება</i>	2,808.7	2,719.0	2,752.5	101.2%
ნაშთის ცვლილება	-1,761.1	-1,628.0	-1,231.9	75.7%
მშპ (ნომინალი) მლნ ლარი	53,442.60	58,528.90	60,231.60	
დეფიციტი	-7.73%	-6.71%	-6.16%	
შემოსულობები	20,158.20	21,756.00	22,121.77	
გადასახდელები	21,919.30	23,384.00	23,353.65	
მოდIFIცირებული დეფიციტი (IMF)	-4,228.80	-3,880.00	-3,581.96	
მოდIFIცირებული დეფიციტი (IMF) % მშპ-სთან	-7.91%	-6.63%	-5.95%	

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების თვალსაზრისით. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ 101.6% შეადგინა, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია.

ინფორმაცია საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12 549 040.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 12 750 272.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.6%.

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<i>შემოსავლები</i>	12,549,040.0	12,750,272.7	201,232.7	101.6
<i>გადასახადები</i>	11,362,600.0	11,439,488.6	76,888.6	100.7
<i>გრანტები</i>	386,440.0	487,106.9	100,666.9	126.0
<i>სხვა შემოსავლები</i>	800,000.0	823,677.1	23,677.1	103.0

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11 362 600.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 11 439 488.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.7%. საშემოსავლო გადასახადში შეღავათმა შეადგინა 250.0 მლნ ლარამდე.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 386 440.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 487 106.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 126.0%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 800 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 823 677.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.0%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 212 585.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (350 000.0 ათასი ლარი) 60.7%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 163 276.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (210 000.0 ათასი ლარი) 77.8%-ია.

სახელმწიფო ვალის აღება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 5 251 530.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- (-306 496.6) ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 1 377 648.0 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 2 467 238.1 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- 1 713 140.5 - ევრობონდები;

ვალის მომსახურება და დაფარვა

2021 წლის მანძილზე სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიძღრთა 3 483.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 2 936.8 მლნ ლარი;
 - ✓ მომსახურება - 283.7 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 2 653.1 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულებები - 456.6 მლნ ლარი;
 - ✓ მომსახურება - 506.6 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 40.0 მლნ ლარი.

საგარეო ვალის აღება

	<i>ათას ლარებში</i>
	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	4,180,378.6
<i>ევროზონდები</i>	1,713,140.5
WB	223,857.8
AIIB	222,619.4
ADB	1,439,016.6
<i>საფრანგეთი</i>	525,135.0
<i>გერმანია</i>	56,609.3
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	1,377,648.0
WB	257,165.5
NEFCO	4,174.8
IFAD	18,698.8
EIB	342,251.7
EBRD	246,713.4
CEB	9,301.9
AIIB	33,605.5
ADB	372,213.8
<i>კუვეიტი</i>	8,443.2
<i>საფრანგეთი</i>	42,948.8
<i>იაპონია</i>	96.4
<i>გერმანია</i>	42,034.1
სულ კრედიტები	5,558,026.6

შენიშვნა: მოიცავს „COVID-19 წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროგრამის“ ფარგლებში 2021 წელს მიღებულ თანხებს WB-დან 223 857.8 ათას ლარს, AIIB-დან 222 619.4 ათას ლარს.

საშინაო ფასიანი ქაღალდები


2021 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 46 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 351 150.0 ათასი ლარის მოცულობით, აქედან 2, 5 და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები ემიტირებული 991 150.0 ათასი ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“. ამავე პერიოდში დაიფარა 1 680 000.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 1 332 217.3 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1 638 713.9 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო

ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების კლებამ შეადგინა 306 496.6 ათასი ლარი.

2021 სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი დამტკიცდა 2020 წლის დეკემბერში, რა დროსაც საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელების მაჩვენებელი ყველაზე მაღალ ნიშნულზე იყო და შესაბამისად მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოქმედებდა, რაც დიდ გავლენას ახდენდა ეკონომიკის განვითარებაზე. 2021 წელს დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, 2021 წლის ივლისში განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები და „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 1 114 239.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 19 498 746.8 ათასი ლარით. ამასთან, წლის განმავლობაში ვირუსის გავრცელება საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზე შენარჩუნდა და 2021 წლის ბოლოს დღის წესრიგში დადგა მოსახლეობის მკურნალობისთვის დამატებითი თანხების გამოყოფის საკითხი. ამავე დროს, ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ზრდიდან გამომდინარე, გაიზარდა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზიც. გამომდინარე აქედან, 2021 წლის დეკემბერში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები ივლისში მიღებულ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 297 381.6 ათასი ლარით. ჯამში წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა 1 411 620,6 ათასი ლარით და განისაზღვრა 19 796 128.4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 19 807 502.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ია.



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 14 232 059.5 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14 241 249.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 100.1%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14 197 869.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 2 525 678.9 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 514 709.2 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 99.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 544 195.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 101.2%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 316 830.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 297 052.3 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 93.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 323 172.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 108.8%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 2 721 560.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 743 117.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 100.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 742 265.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.

2021 წლის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 649 069.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 654 757.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.3%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 8.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 830 561.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 800 113.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.1%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ მუხლით დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 793 185.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 790 511.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.0%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 283 663.9 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 506 593.7 ათასი ლარი.


„სუბსიდიების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა 862 372.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 859 829.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.3%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 974 227.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 950 221.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.8%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 6 082 587.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (6 083 721.1 ათასი ლარი) 100.0 %-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 30.7%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 048 113.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 059 849.0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 100.6%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 14.5%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 10.4%-ს შეადგენს.

2021 წლის ხარჯების სტრუქტურა



COVID-19 პანდემიისთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებების დაფინანსება

2021 წელს COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე ფაქტიურად მიმართული იქნა 4.1 მილიარდი ლარის რესურსი, კერძოდ:

მლნ ლარში

2021 წლის
ფაქტი

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება	1,220.8
მათ შორის, COVID-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა	155.9
მისახლეობის სოციალური დაცვის მიმართულება	411.8
სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ფულადი დახმარება/ კომპენსაცია	74.9
შშმ პირებისათვის ფულადი დახმარება/ კომპენსაცია	27.3
ფულადი დახმარება/ კომპენსაცია დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირებისათვის	149.8
COVID-19-დან გამომდინარე მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირება/ გაზრდილი ტარიფის სუბსიდირება (2021 წლიდან)	141.4
COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის სოციალური მხარდაჭერა (60 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი დახმარება)	18.4
ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულება	521.5
სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა	23.1
ქონების გადასახადის შეღავათი	35.0
საკრედიტო-საგარანტიო სქემა	49.4
პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა	16.7
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	2.1
2021 წლის განმავლობაში სურსათის მწარმოებლებისთვის ელექტრონერგიაზე ტარიფის ზრდის 50%-ის სუბსიდირება	10.1
სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სხვა ღონისძიებები	144.7
მათ შორის, რთველის ხელშეწყობა	144.7
მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა - მცირე გრანტები	14.3

საშემოსავლო გადასახადის შეღავათი
 სულ ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებზე მიმართული ასიგნებები
 ეკონომიკის ხელშეწყობის სხვა დამატებითი პაკეტი
 საგადასახადო ზედმეტობის (დღგ-ის) დაბრუნება
 სულ ჯამი

226.1
2,154.1
1,930.1
1,930.1
4,084.2

**საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე და 114⁵ მუხლების შესაბამისად,
 2021 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად თითოეული
 მუნიციპალიტეტის მიერ 12 თვის მდგომარეობით მიღებული შემოსავალი**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე და 114⁵ მუხლის შესაბამისად, 2021 წელს მუნიციპალიტეტებზე გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განისაზღვრა 1 019 730.0 ათასი ლარის ოდენობით. წლიურ საბიუჯეტო კანონში წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 107 920.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 1 127 650.0 ლარის ოდენობით. 2021 წელს ფაქტიურად მობილიზებულმა დამატებული ღირებულების გადასახადმა შეადგინა 1 145 207.8 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დამატებული ღირებულების გადასახადი

	I დამტკიცებული	ბოლო დამტკიცებული	12 თვის ფაქტი
აჭარა	75 225,4	83 186,7	84 480,2
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	42 888,8	47 427,8	48 207,2
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	12 409,1	13 722,4	13 965,5
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	8 550,4	9 455,3	9 613,7
ქედის მუნიციპალიტეტი	8 149,5	9 011,9	9 155,6
შუახევის მუნიციპალიტეტი	333,4	368,7	337,5
ხულოს მუნიციპალიტეტი	2 894,2	3 200,5	3 200,6
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	462 129,4	511 037,4	518 990,1
კახეთის მხარე	68 122,8	75 332,3	76 566,2
ახმეტის მუნიციპალიტეტი	8 783,5	9 713,1	9 842,8
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	11 482,3	12 697,5	12 934,8
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	1 847,1	2 042,5	2 055,3
თელავის მუნიციპალიტეტი	14 461,6	15 992,1	16 255,9
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	10 580,3	11 700,1	11 904,1
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	10 477,3	11 586,2	11 789,6
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	5 027,4	5 559,4	5 605,5
ყვარელის მუნიციპალიტეტი	5 463,3	6 041,5	6 178,1
იმერეთის მხარე	125 265,5	138 522,6	140 673,7
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	35 480,5	39 235,5	39 847,2

ჭიათურის მუნიციპალიტეტი	9 995,2	11 053,0	11 217,0
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	4 805,1	5 313,7	5 376,4
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	10 511,5	11 624,0	11 789,6
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	5 700,9	6 304,2	6 407,1
ვანის მუნიციპალიტეტი	5 864,1	6 484,7	6 636,2
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	11 719,9	12 960,2	13 163,9
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	8 239,1	9 111,1	9 270,2
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	9 346,3	10 335,5	10 529,9
საჩხერის მუნიციპალიტეტი	12 373,0	13 682,5	13 851,0
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	5 528,4	6 113,4	6 178,1
ხონის მუნიციპალიტეტი	5 701,4	6 304,8	6 407,1
სამეგრელო ზემო სვანეთის მხარე	72 219,0	79 862,1	81 141,0
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	4 532,7	5 012,4	5 032,9
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	24 656,9	27 266,4	27 708,0
აბაშის მუნიციპალიტეტი	5 234,7	5 788,7	5 834,5
მარტვილის მუნიციპალიტეტი	8 215,3	9 084,7	9 270,2
მესტიის მუნიციპალიტეტი	4 463,2	4 935,5	5 032,9
სენაკის მუნიციპალიტეტი	8 730,3	9 654,2	9 842,8
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	5 596,5	6 188,8	6 292,6
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	6 454,8	7 137,9	7 208,8
ხობის მუნიციპალიტეტი	4 334,6	4 793,4	4 918,4
შიდა ქართლის მხარე	64 258,5	71 059,1	72 124,0
გორის მუნიციპალიტეტი	33 006,1	36 499,2	37 098,7
